



მიმდინარე წლის 5 მაისს კულტურათაშორისი კომუნიკაციების სამსახურის უფროსის, პროფ. ინდირა ძაგანიას ინიციატივით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს სტუმრობდა მსოფლიო მშვიდობის ფედერაციის დელეგაცია, ევრაზიის განყოფილების გენერალური მდივნის, ბ-ნი ჟაკ მარიონის ხელმძღვანელობით. შეხვედრა შედგა უნივერსიტეტის რექტორთან, პროფ. ჯონი აფაქიძესთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, პროფ. შოთა ახალაიასთან.

მსოფლიო მშვიდობის ფედერაციის წარმომადგენლებმა სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის გამართეს ორგანიზაციის პრეზენტაცია. უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის დაიგეგმა ტრენინგები.